



**განათლების
ხანისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი**

უმადლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი“

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

21.04.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

ზვიად როგავა

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421, სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №25
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 2021 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება № 268061
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 5 მარტი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 5 მარტამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 5 მარტი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

1. რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა;
2. რეკომენდებულია დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები (სასწავლო კურსების ჩამონათვალი იხ. დანართი №2-ში);
3. რეკომენდებულია უსდ-მ გადახედოს ყოველკვირეული სალექციო საათების მოცულობას, სასწავლო კურსი სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
4. რეკომენდირებულია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება;
5. რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
6. რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში;
7. საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში მითითებულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებას, შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურის სილაბუსებიდან ამოღებული იქნეს საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 მარტის N 268061 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 5 მარტიდან. შესაბამისად, დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 5 მარტამდე დროის პერიოდი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულებამ ანგარიში სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წარუდგინა 2022 წლის 04 მარტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაზიარებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაწესებულებაში შეიკრიბა სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაში, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსიც.

ანგარიშით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო სამუშაო პროცესის ხელშეწყობასა და ჯგუფისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფდა სამართლის სკოლის დეკანი.

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება სამუშაო ჯგუფმა განიხილა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები, გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც შეჯერებული იქნა საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სკოლის საბჭოს წევრებთან, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებამ გაითვალისწინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია. შედეგად, რეკომენდაციების ნაწილი აისახა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო მათი ნაწილი შესრულდება სამართლის საბაკალავრო პროგრამის განვითარების პროცესში.

დაწესებულების ანგარიშის თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად,



კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა განიხილა სკოლის საბჭომ და განსახილველად გადასცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე საბაკალავრო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინა აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 თებერვლის N1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

რჩევები

1. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეთავაზებული აქვს სამი სასწავლო კურსი „იმიტირებული სასამართლო პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში“, „იმიტირებული სასამართლო პროცესი კერძო სამართალში“ და „იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში“, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი. ვინაიდან იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა შეფასების მეთოდია, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსებს, თემატიკის გათვალისწინებით, ეწოდოთ შესაბამისად „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“, „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ობიექტურად შეფასების მიზნით, სასურველია სამივე სავალდებულო კურსმა შეიძინოს სავალდებულო კურსის სტატუსი.
2. სასურველია უსდ-ს მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 მარტის N 268061 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 5 მარტიდან. შესაბამისად, დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 5 მარტამდე დროის პერიოდი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის



რჩევების შესრულების თაობაზე დაწესებულებამ ანგარიში სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წარუდგინა 2022 წლის 04მარტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევების შესრულების მიზნით დაწესებულებაში შეიკრიბა სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაში, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსიც.

ანგარიშით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო სამუშაო პროცესის ხელშეწყობასა და ჯგუფისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფდა სამართლის სკოლის დეკანი.

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევები, გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც შეჯერებული იქნა საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სკოლის საბჭოს წევრებთან, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებამ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევების ნაწილი აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო ნაწილს იზიარებს და გამოთქვამს მზადყოფნას შეასრულოს ისინი საბაკალავრო პროგრამის განვითარების პროცესში.

დაწესებულების ანგარიშის თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა განიხილა სკოლის საბჭომ და განსახილველად გადასცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე საბაკალავრო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინა აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 თებერვლის N1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I	რეკომენდირებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულას.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, კერძოდ, რეკომენდებული იყო უსდ-ს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოეყენა იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულას.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები, პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენებოდა არა იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს, არამედ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში/კომპონენტებში მიღებული საბოლოო ქულა.</p> <p>რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, უსდ-ის მიერ პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით დაკორექტირდა სამიზნე ნიშნულები (N 4 დანართი). აღნიშნულ დოკუმენტში აისახა არა მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები და კომპონენტები, არამედ ის კონკრეტული დავალებიც, რომლთა შედეგებიც იზომება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“-ს თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით უნდა არსებობდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც ნაჩვენებია იქნება თუ როდის, ვის მიერ,</p>



	<p>სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი, უსდ-ს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა არ წარმოუდგენია.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია ნაწილობრივ.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • კურიკულუმის რუკა (დანართი 3); • სამიზნე ნიშნულები (დანართი 4).

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	რეკომენდირებულია დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები (სასწავლო კურსების ჩამონათვალი იხ. დანართი №2-ში)
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა საბაკალავრო პროგრამის შვიდ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაზუსტებას. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან და სასწავლო კურსების სილაბუსებიდან დგინდება, რომ უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაციის ნაწილი და მხოლოდ ოთხ სასწავლო კურსთან მიმართებით დააზუსტა სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, რეკომენდაციის შესაბამისად დაზუსტდა სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“-ს, სასწავლო კურსის „კრიმინოლოგია“, სასწავლო კურსის „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ და სასწავლო კურსს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ დაშვების წინაპირობები.</p> <p>რაც შეეხება შვიდიდან სამ სასწავლო კურსთან მიმართებით დაწესებულებამ არ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • სავალდებულო სასწავლო კურსს „საერთაშორისო საჯარო სამართალს“ დაშვების წინაპირობა კვლავ არ გააჩნია, მაშინ როდესაც რეკომენდებული იყო დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო სასწავლო კურსი „კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“;



	<ul style="list-style-type: none"> • არჩევით სასწავლო კურსს „საქართველოს კონკურენციის სამართალს“ დაშვების წინაპირობა კვლავ არ გააჩნია, მაშინ როდესაც რეკომენდებული იყო დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“; • არჩევით სასწავლო კურსს „სასჯელის შეფარდება“ დაშვების წინაპირობად კვლავ განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი“, მაშინ როდესაც რეკომენდებული იყო დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“. <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია ნაწილობრივ.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსების „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“, „კრიმინოლოგია“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია უსდ-მ გადახედოს ყოველკვირეული სალექციო საათების მოცულობას, სასწავლო კურსის სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა საბაკალავრო საფეხურის ცალკეულ სასწავლო კურსებში ყოველკვირეული სალექციო საათების მოცულობის გადახედვას, სასწავლო კურსის სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, სალექციო საათების გაზრდის ხარჯზე, უსდ-ის მიერ დაკორექტირდა საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება მთელ რიგ სასწავლო კურსებში, კერძოდ, სასწავლო კურსებში: „კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა)“, „ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)“, „საერთაშორისო საჯარო</p>



	<p>სამართალი“, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“, „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, „სანივთო სამართალი“, „ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი“, „სახელშეკრულებო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“, „საკორპორაციო სამართალი“, „სისხლის საპროცესო სამართალი ზ/ნ“, „სისხლის საპროცესო სამართალი კ/ნ“.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია სრულად.</p>
რეკომენდაცია VII	<p>საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში მითითებულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებას, შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურის სილაბუსებიდან ამოღებული იქნეს საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა საბაკალავრო საფეხურის ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების სასწავლო რესურსებიდან „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოღებას, როგორც ძალადაკარგულის.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, უსდ-ის მიერ სასწავლო კურსების „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“ და „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ სილაბუსების სასწავლო რესურსებიდან ამოღებულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი - საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია სრულად.</p>
რჩევა I	<p>სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეთავაზებული აქვს სამი სასწავლო კურსი „იმიტირებული სასამართლო პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში“, „იმიტირებული სასამართლო პროცესი კერძო სამართალში“ და „იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში“, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი. ვინაიდან იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა შეფასების მეთოდია, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსებს, თემატიკის გათვალისწინებით, ეწოდოთ შესაბამისად „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“, „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და „სისხლის სამართლის</p>



	პრაქტიკული კურსი“. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ობიექტურად შეფასების მიზნით, სასურველია სამივე სავალდებულო კურსმა შეიძინოს სავალდებულო კურსის სტატუსი.
შეფასება	დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და არჩევით სასწავლო კურსებს „იმიტირებული სასამართლო პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში“, „იმიტირებული სასამართლო პროცესი კერძო სამართალში“ და „იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში“, მათი შინაარსის გათვალისწინებით უწოდა „პრაქტიკული კურსი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში“; „პრაქტიკული კურსი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, „პრაქტიკული კურსი სისხლის საპროცესო სამართალში“.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსების „კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა)“, „ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, „სანივთო სამართალი“, „ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი“, „სახელმშეკრულებო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“, „საკორპორაციო სამართალი“, „სისხლის საპროცესო სამართალი ზ/ნ“, „სისხლის საპროცესო სამართალი კ/ნ“ სილაბუსები. • სასწავლო კურსების „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“ და „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ სილაბუსები. • სასწავლო კურსების „პრაქტიკული კურსი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში“, „პრაქტიკული კურსი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“ და „პრაქტიკული კურსი სისხლის საპროცესო სამართალში“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის



	<p>წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა სამომავლოდ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმების გაუმჯობესებას და როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების, გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირების უზრუნველყოფას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლით.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება სხვადასხვა ფორმით მხარს უჭერს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებას და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისებას.</p> <p>სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბი, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის ზრდა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება.</p> <p>სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ხოლო კონფერენციის თეზისები უნივერსიტეტის მიერ იბეჭდება კრებულის სახით.</p> <p>სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ა(ა)იპ - ახალგაზრდა სამეცნიერო გაერთიანებასთან, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან და სხვა.</p>



	<p>უსდ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რომელიც მიზნად ისახავს, მათ შორის, „სტუდენტების კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერას. სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი ითვალისწინებს კვლევით პროექტებს შორის, კონკურსის წესით, საუკეთესოთა გამოვლენას და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მათ დაფინანსებას. „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო და ხელმისაწვდომია.</p> <p>მიმდინარე წელს უსდ-ის მიერ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის ორგანიზებული იქნა ვებინარი, რომელიც დაეთმო Legal Collection და HeinOnline Legal Classics რესურსების სამეცნიერო - პრაქტიკულ და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებას.</p> <p>უსდ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების შესახებ,</p> <p>სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდის მიზნით, უსდ გამოხატავს სრულ მზაობას კიდევ უფრო გაზარდოს სტუდენტთა დროული ინფორმირება გამოცხადებული გრანტების, პროექტების, კონფერენციების თაობაზე, გაზარდოს საინფორმაციო შეხვედრების სიხშირე, სადაც სტუდენტებს განემარტებათ მათთვის საინტერესო საკითხები კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ მხარდაჭერილია სრულად.</p>
რჩევა II	
შეფასება	<ul style="list-style-type: none"> • შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი. https://sdasu.edu.ge/media



	<ul style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში.
მტკიცებულებ(ებ)ა	

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია V	რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა სამომავლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გაძლიერებასა და უსდ-ის მხრიდან მათ მხარდაჭერას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლით.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება სხვადასხვა ფორმით მხარს უჭერს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობას, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტი:</p> <ul style="list-style-type: none"> ყოველწლიურად აცხადებს შიდა საგრანტო კონკურსს; გამოსცემს რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალს „სპექტრს“, სადაც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს უფინანსებს ნაშრომის ბეჭდვის ხარჯებს; აფინანსებს სამეცნიერო კვლევების ორგანიზების, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო ნაშრომის



	<p>(მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, თარგმანის, სტატიის და სხვა) გამოცემის ხარჯებს;</p> <ul style="list-style-type: none"> სამეცნიერო-კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მეშვეობით მუდმივად აწვდის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინფორმაციას საგრანტო პროექტების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და ა.შ შესახებ. ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს. <p>სამეცნიერო - კვლევითი და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სააკრედიტაციო პერიოდში უსდ-ის მიერ ორგანიზებულია ტრენინგები თემაზე:</p> <p>საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის და პერსონალის მართვის სამსახურის მიერ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა/დაფინანსდა ტრენინგები. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> „სამეცნიერო საგრანტო განაცხადის მომზადება.“ (2018 წლის 15 ნოემბერი); „აკადემიური პლაგიატი, მისი გამოვლენა და პრევენცია“ (2018 წლის 17 დეკემბერი); „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ღირებულებითი განათლების მეთოდოლოგია“ (2019 წლის 22 იანვარი); „საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა“ (2019 წლის 8-16 ივლისი); „ელსევიერის ბაზების (Scopus, Science Direct და Scival Fiunding(Funding Institutional) მოხმარების შესახებ“ (2019 წლის 1 ნოემბერი); „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“ (2019 წლის 13 ნოემბერი); <p>გარდა ამისა, უსდ-ის ორგანიზებით 2020 წლის 6 მაისს აკადემიური პერსონალისთვის გაიმართა ვებინარი, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> სტუდენტების (დოქტორანტების) სამეცნიერო ნაშრომების
--	---



	<p>შეფასების მეთოდები;</p> <ul style="list-style-type: none"> • ვერიფიკაციის (სარწმუნოების) პროცესის შეფასება; • LMS ინტეგრაციის, ყველა ტიპის ნაშრომის ვერიფიკაცია და დისციპლინური ქმედებები. <p>უსდ გამოხატავს სრულ მზაობას პროგრამის განვითარების პროცესში მუდმივად მხარი დაუჭიროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობას.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.5 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ მხარდაჭერილია სრულად.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“; https://sdasu.edu.ge/ka/publikaciebi • უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია წინა სააკრედიტაციო პერიოდში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ორგანიზებული ტრენინგების შესახებ.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა II	სასურველია უსდ-ს მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით
შეფასება	<p>უსდ-ის ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები /ვებინარები/, ტრენინგები სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.</p> <p>მიმდინარე წლის 15 თებერვალს უსდ-ის მიერ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის ორგანიზებული იქნა ვებინარი, რომელიც დაეთმო Legal Collection და Hein Online Legal Classics რესურსების სამეცნიერო - პრაქტიკულ და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებას.</p>



მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში.
------------------	--

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2 გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VI	რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა წინა აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების ასახვას სამომავლოდ წარსადგენ თვითშეფასების ანგარიშებში.</p> <p>უსდ გამოხატავს სრულ მზაობას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და მათი შესრულების შესახებ ინფორმაცია სრულად ასახოს მომავალში წარსადგენ თვითშეფასების ანგარიშებში.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.6 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ მხარდაჭერილია სრულად.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში.

თანდართული დოკუმენტაცია

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში - 16 ფურცელი;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 17 ფურცელი;
- პროგრამის დანართი N 1 - სასწავლო გეგმა - 9 ფურცელი;
- პროგრამის დანართი N 3 - კურიკულუმის რუკა - 2 ფურცელი;
- პროგრამის დანართი N 4 - სამიზნე ნიშნულები - 6 ფურცელი;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - 3 ფურცელი;
- სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“ სილაბუსი - 31 ფურცელი;
- სასწავლო კურსის „ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია“ სილაბუსი - 15 ფურცელი;



9. სასწავლო კურსის „კრიმინოლოგია“ სილაბუსი - 8 ფურცელი;
10. სასწავლო კურსის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ სილაბუსი - 19 ფურცელი;
11. სასწავლო კურსის „კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ სილაბუსი - 16 ფურცელი;
12. სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა)“ სილაბუსი - 27 ფურცელი;
13. სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)“ სილაბუსი - 23 ფურცელი;
14. სასწავლო კურსის „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ სილაბუსი - 10 ფურცელი;
15. სასწავლო კურსის „შესავალი სამოქალაქო სამართალში“ სილაბუსი - 18 ფურცელი;
16. სასწავლო კურსის „სანივთო სამართალი“ სილაბუსი - 16 ფურცელი;
17. სასწავლო კურსის „ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი“ სილაბუსი - 16 ფურცელი;
18. სასწავლო კურსის „სახელმეკრულებო სამართალი“ სილაბუსი - 24 ფურცელი;
19. სასწავლო კურსის „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“ სილაბუსი - 15 ფურცელი;
20. სასწავლო კურსის „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ სილაბუსი - 14 ფურცელი;
21. სასწავლო კურსის „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“ სილაბუსი - 16 ფურცელი;
22. სასწავლო კურსის „საკორპორაციო სამართალი“ სილაბუსი - 16 ფურცელი;
23. სასწავლო კურსის „სისხლის საპროცესო სამართალი ზ/ნ“ სილაბუსი - 14 ფურცელი;
24. სასწავლო კურსის „სისხლის საპროცესო სამართალი კ/ნ“ სილაბუსი - 14 ფურცელი;
25. სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ სილაბუსი - 16 ფურცელი;
26. სასწავლო კურსის „პრაქტიკული კურსი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში“ სილაბუსი - 26 ფურცელი;
27. სასწავლო კურსის „პრაქტიკული კურსი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“ სილაბუსი - 19 ფურცელი;
28. სასწავლო კურსის „პრაქტიკული კურსი სისხლის საპროცესო სამართალში“ სილაბუსი - 12 ფურცელი;
29. ინფორმაცია ორგანიზებული ტრენინგების შესახებ - 2 ფურცელი.

ექსპერტის ხელმოწერა